GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

გალტ & თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

ლუდის სექტორის მიმოხილვა
დეკემბერი, 2023

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 – 8036

კახა სამყურაშვილი
სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

მარიამ ჩახვაშვილი
სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897

ოთარ ცუხიშვილი
ანალიტიკოსი | otsukhishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3018

შინაარსი

ძირითადი მიგნებები

ლუდის მოხმარება

ლუდის წარმოება და მწარმოებლები

ფასი და თვითღირებულება

დანართები

ძირითადი მიგნებები

ლუდის მოხმარება

ლუდის მოხმარება საქართველოში 2016-23 წლებში წლიურად საშუალოდ 5.1%-ით გაიზარდა და ჩვენი შეფასებით 2023 წელს 133 მლნ ლიტრს (+1.2% წლიურად) მიაღწევს.

ამასთან, ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარება საქართველოში მზარდია და 45 ლიტრს შეადგენს 2023 წელს, თუმცა მაინც ჩამორჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელს - 81 ლიტრს.

ლუდის მოხმარების 92% ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდება, ხოლო დანარჩენი იმპორტირებულია, ძირითადად გერმანიიდან, რუსეთიდან და ბელგიიდან.

ლუდის წარმოება 2016-23 წლებში წლიურად საშუალოდ 3.0%-ით გაიზარდა და ჩვენი შეფასებით 126 მლნ ლიტრს მიაღწევს 2023 წელს.

ლუდის ექსპორტი 2023 წლის 11 თვეში წლიურად 98.7%-ით გაიზარდა $7.9 მლნ-მდე და ჩვენი შეფასებით 2023 წელს $8.5 მლნ-ს მიაღწევს, ძირითადად ყაზახეთში და დსთ-ს სხვა ქვეყნებში გაზრდილი გაყიდვების შედეგად.

სექტორში 4 ძირითადი მწარმოებელია - ლომისი, ქართული ლუდის კომპანია, გლობალ ბიერ ჯორჯია და არგო, რომლებიც ლუდის გარდა არაალკოჰოლურ სასმელებსაც აწარმოებენ.

სექტორის შემოსავალი 2023 წლის სამ კვარტალში 15.2%-ით გაიზარდა 446.1 მლნ ლარამდე და წლიურ ჭრილში ჩვენი შეფასებით 584.7 მლნ ლარს მიაღწევს. ამასთან, ჯამური შემოსავლების დაახლოებით 60% ლუდის გაყიდვებიდან და დანარჩენი არაალკოჰოლური სასმელების გაყიდვებიდან გენერირდება.

ფასზე მოქმედი ფაქტორები - საქართველოში ლუდის ფასზე მოქმედებს ნედლეულის ღირებულება და ლარის კურსის მერყეობა, რადგან წარმოებისთვის ძირითადად იმპორტირებული ნედლეული გამოიყენება.

შესაძლებლობები - ლუდის სექტორის ზრდას ხელს შეუწყობს საერთაშორისო ბრენდების ახალი ლიცენზიების მიღება და კრაფტ ლუდის გაყიდვების ზრდა.

ლუდის მოხმარება

ლუდის მოხმარება

საქართველოში ლუდის მოხმარება წლიურად საშუალოდ 5.1%-ით გაიზარდა 2016-23 წლებში, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებით კვლავ ორჯერ ჩამორჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელს

ლუდის მოხმარება საქართველოში, მლნ ლიტრი



- ჩვენი მოლოდინით, ლუდის მოხმარება 2024 წელს **140 მლნ ლიტრს** მიაღწევს.
- 2023 წლის მონაცემებით, მოხმარების **92%** ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდება. ჩვენი აზრით, ეს პროპორცია 2024 წელსაც შენარჩუნდება.

წყარო: შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი

ლუდის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, 2019, ლიტრი



- საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარება მზარდია და **45 ლიტრს** შეადგენს 2023 წელს, თუმცა მაინც ჩამორჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელს - **81 ლიტრს**.
- საქართველოში საშუალოვადიან პერიოდში ლუდის მოხმარების ზრდა მოსალოდნელია ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების ზრდის ხარჯზე.

წყარო: WHO, საქსტატი, შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 15 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობაზე დათვლილი. ერთ ლიტრ ლუდში ალკოჰოლის შემცველობა 5%.

ლუდის მოხმარება

ლუდის მოხმარება მკვეთრად სეზონურია და 60% მაის-სექტემბერზე მოდის
სპორტული ღონისძიებების დროს ლუდის მოხმარება საშუალოზე 25%-ით მაღალია

ლუდის თვიური მოხმარება საქართველოში, მლნ ლიტრი



წყარო: შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: გრაფიკზე ნაჩვენებია აქციზური მარკის გამოყენების თვე, რომელიც ახლოსაა პროდუქტის თაროებზე მარაგების პერიოდთან და არა ფაქტობრივი გაყიდვის პერიოდთან. ფაქტობრივი გაყიდვები ხდება საშუალოდ ერთი თვის შემდეგ.

ლუდის მოხმარება

საქართველოში პლასტმასის ბოთლის ლუდი მოხმარების თითქმის ნახევარს შეადგენს მოთხოვნა მზარდია ქილის/შუშის ბოთლებსა და ბარის ლუდზე

გაყიდული ლუდის მოცულობა ბოთლის ტიპის მიხედვით, მლნ ლიტრი



გაყიდული ლუდის მოცულობა ზომების მიხედვით, 2023



- პლასტმასის ბოთლები ლუდის ჩამოსხმის ყველაზე ეკონომიური მასალაა, სწორედ ამიტომ საქართველოში ლუდის **44.6%** პლასტმასის ბოთლებით იყიდება.
- აღსანიშნავია, რომ პლასტმასის ბოთლით ლუდის მოხმარების წილი მცირდება სხვა კატეგორიების ზრდის ხარჯზე.

- საქართველოში ყველაზე პოპულარული 2.5ლ-იან პლასტმასის ბოთლში ჩამოსხმული ლუდია, მას მოჰყვება 0.5ლ-იანი ქილის/ბოთლის ლუდი.
- მაღალი ლიტრაჟის (3+) კასრის ლუდი ძირითადად ბარებში, რესტორნებსა და ფესტივალებზე იყიდება. ეს ყველაზე მზარდი კატეგორიაა პანდემიის შემდეგ (+11.3პპ ჯამურ გაყიდვებში 2020-23წწ).

წყარო: შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი; შენიშვნა 1: გაყიდული ბოთლების დინამიკა რაოდენობის მიხედვით იხილეთ დანართ 1-ში.
შენიშვნა 2: გამოთვლილია გაცემული აქციზური მარკების რაოდენობის მიხედვით; შუშის ბოთლებში/მეტალის ქილებში დაანგარიშებულია 1ლ-ზე მცირე ზომის ბოთლებით, პლასტმასის ბოთლებში - 1-დან 3 ლიტრის ჩათვლის, კასრებში - 3ლ+.

ლუდის მოხმარება

ლუდი ძირითადად მაღაზიაში იყიდება, უმეტესი ევროპული ქვეყნების მსგავსად HORECA-ში გაყიდვის წილი გაზრდილია 26%-დან 31%-მდე 2019-23 წლებში

ლუდის შესყიდვები მაღაზიაში და ადგილზე მოხმარებისთვის, % ჯამურ გაყიდვებში, 2022



ჩვენი მოლოდინით, ადგილზე მოხმარების (HORECA) წილი საქართველოში გაიზრდება ურბანიზაციის, შემოსავლების და ტურიზმის ზრდის ხარჯზე.

- 2020 წელს, პანდემიის გამო მსოფლიოსა და საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა მომხმარებელთა ქცევა და ბარებში, რესტორნებსა და ფესტივალებზე მოხმარებიდან გადავიდა სახლში მოხმარებაზე. 2021 წლიდან კი HORECA სექტორში მოხმარების წილი ზრდას განაგრძობს.

წყარო: The Brewers of Europe, IWSR, შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: საქართველოში „HORECA-ში გაყიდვები"-ში აღებულია ლუდის ლიტრაჟობა 3 ლიტრზე დიდ შეფუთვებში.

ლუდის მოხმარება

ექსპორტზე ჯამური წარმოების მხოლოდ 4% გადის, მოთხოვნა გაზრდილია ყაზახეთიდან და დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან

ლუდის ექსპორტი საქართველოდან



- 2022 წლის მე-4 კვარტალში საქართველოდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ლუდის ექსპორტი ყაზახეთში, ყირგიზეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში.
- ამ ქვეყნებში ლუდს ძირითადად რუსეთიდან ყიდულობდნენ, 2022 წლიდან რუსეთი ჩანაცვლდა ქართული წარმოების საერთაშორისო ბრენდებით.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ლუდის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, აშშ$, 11თ23



- 2023 წელს საქართველოში წარმოებული ლუდი გავიდა **28** ქვეყანაში.
- წლის ბოლომდე ექსპორტი სავარაუდოდ **$8.5 მლნ** მიაღწევს.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ლუდის წარმოება და მწარმოებლები

ლუდის წარმოება

საქართველოში ლუდის წარმოების მოცულობა ნელი ტემპით იზრდება

საქართველოში ლუდის წარმოება მოცულობაში, მლნ ლიტრი



- ჩვენი შეფასებით, 2023 წელს ლუდის წარმოება საქართველოში **126.0 მლნ** ლიტრს მიაღწევს.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

საქართველოში ლუდის წარმოება ღირებულებაში, მლნ ლარი



- წარმოების ღირებულება ძირითადად გაზრდილია ნედლეულის ფასის ზრდის, ლუდის მცირე ზომის შეფუთვებით მოხმარებაზე გადასვლითა და პრემიუმ-ბრენდების წარმოების ზრდის ხარჯზე.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ლუდის წარმოება - სექტორის შემოსავალი

ჩვენი ვარაუდით, 2023 წელს ლუდის მწარმოებელი კომპანიების ჯამური შემოსავლის დაახლოებით 60% მოდის ლუდის გაყიდვაზე, ხოლო 40% არა-ალკოჰოლურ სასმელებზე

ლუდის მწარმოებელი კომპანიების ბრუნვა, მლნ ლარი



- ლუდის უმსხვილესი მწარმოებლები ასევე აწარმოებენ არა-ალკოჰოლურ სასმელებსაც. 2022 წელს, ლუდის წარმოების ღირებულებამ **₾294.7 მლნ** შეადგინა, ხოლო არა-ალკოჰოლური სასმელებიდან მიღებულმა შემოსავალმა **₾213.0 მლნ**.
- 2016-23 წლებში ლუდის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები წლიურად საშუალოდ 15.1%-ით, ხოლო არა-ალკოჰოლური სასმელების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი საშუალოდ 19.7%-ით იზრდებოდა. შესაბამისად, ამ პერიოდში ჯამურ შემოსავალში ლუდის წილი შემცირებულია 62.9%-დან **56.3%**-მდე.
- 2023 წლის სამ კვარტალში კომპანიების ჯამური ბრუნვა **₾446 მლნ**-მდეა გაზრდილი (წლიურად 15.2%) და წლის ბოლომდე სავარაუდოდ **₾585 მლნ**-ს მიაღწევს

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ლუდის წარმოება - ტოპ კომპანიები

ლუდის უმსხვილესი მწარმოებლების წილი სექტორის ჯამურ შემოსავლებში ცვალებადია და 2022 წელს მათი ბაზრის წილი შემცირდა მცირე ლუდსახარშების ხარჯზე

ლუდის მწარმოებელი კომპანიების წილი ჯამურ ბრუნვაში



- საქართველოში ლუდს **4 მსხვილი** და **42 მცირე** კომპანია აწარმოებს.
- ლუდის უმსხვილესი მწარმოებლები ადგილობრივი ბრენდების გარდა ასევე აწარმოებენ საერთაშორისო ბრენდის ლუდსაც ლიცენზიის საფუძველზე. მაგალითად, ლომისს აქვს AB InBev-ის და Molson Coors-ის ზოგიერთი ბრენდის ლიცენზია (Corona, Staropramen, Lowenbrau), გლობალ ბიერ ჯორჯიას - Heineken-ის, ქართული ლუდის კომპანიას - Carlsberg-ის და Molson Coors-ის ზოგიერთი ბრენდის ლიცენზია.

წყარო: SARAS, კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: წილი დათვლილია მოცემული კომპანიების ჯამური შემოსავლიდან, რაც მოიცავს როგორც ლუდის, ასევე ლიმონათისა და სხვა არა-ალკოჰოლური სასმელების გაყიდვებს.

ლუდის წარმოება - ბრენდები

ქართულ ბაზარზე ლუდის ასორტიმენტი მრავალფეროვანია

უმსხვილესი კომპანიების ცნობილი ბრენდები პროდუქტების მიხედვით

	ლომისი		ქართული ლუდის კომპანია		გლობალ ბიერ ჯორჯია		არგო	
ლუდი	• ნატახტარი • ქარვა • კასრის	• BECK'S • Franziskaner • Staropramen • Kozel • Corona • EFES • Lowenbrau	• ზედაზენი • სვიანი • რავი • აია • ხევსურული • ცივ-ცივი	• Holsten • Ragnar • Harp • Bavaria	• აისი • არაგველი • ყაზბეგი • კაიაკი	• Krusovice • Heineken • Amstel	• არგო • გერმანული	• Herzog • Hollandia
სხვა სასმელები	• ნატახტარი • ნატახტარი ზიგზაგი		• RcCola • Wilder • Red Rain • Dino Energy	• გურიელი • ჩერო	• ყაზბეგი		• ზანდუკელი	

ლუდის წარმოება

ქართულ კომპანიებს ევროპის ქვეყნებთან შედარებით დაბალი საერთო მოგების და მაღალი EBITDA მარჟები აქვთ

ლუდის მწარმოებელი კომპანიების საერთო მოგების (Gross profit) მარჟა



- საქართველოში ლუდის მწარმოებლების საშუალო მთლიანი მოგების მარჟა შემცირებულია ბოლო 2 წლის განმავლობაში წარმოების გაზრდილი ღირებულების გამო.
- საქართველოში მასალების უმეტესობა იმპორტირებულია, ხოლო ევროპაში არის ადგილობრივი წარმოებაც, ეს იწვევს სხვაობას საერთო მოგების მარჟაში.

წყარო: SARAS, გალტ & თაგარტი

ლუდის მწარმოებელი კომპანიების EBITDA მარჟები



- ქართული ლუდის მწარმოებელი კომპანიების მაღალი EBITDA მარჟები ევროპულ ქვეყნებთან შედარებით აიხსნება საქართველოში დაბალი საოპერაციო ხარჯებით.
- საქართველოში ტოპ-4 კომპანიისთვის, **სადისტრიბუციო ხარჯები და ხელფასები** ყველაზე დიდი საოპერაციო ხარჯების კატეგორიაა და შემოსავლის **14.5% და 9.1%** (2021-22 წლების საშუალო) შეადგენს.

წყარო: SARAS, გალტ & თაგარტი

ლუდის იმპორტი

ლუდის იმპორტით ჯამური მოხმარების მხოლოდ 8% კმაყოფილდება

ლუდის იმპორტი საქართველოში



- იმპორტირებული ლუდი ძირითადად 0.5 ლიტრის შეფუთვის პრემიუმ ბრენდებია.
- 2023 წელს ლუდის იმპორტი ჩვენი შეფასებით **$13.5 მლნ**-ს მიაღწევს.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ლუდის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, აშშ$, 11თ23



- საქართველოში ლუდი 27 ქვეყნიდან შემოდის. აქედან გერმანია, რუსეთი, თურქეთი და ჩეხეთი სტაბილური მომწოდებლები არიან, ხოლო ბელგია ტოპ იმპორტიორების სიაში 2018 წლის შემდეგ პრიველად 2023 წელს შევიდა.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ფასი და თვითღირებულება

ფასი და თვითღირებულება

საქართველოში ლუდი რეგიონის ქვეყნებთან შეადრებით იაფია

ლუდის ფასი სუპერმარკეტებში, 0.33 ლიტრიანი ბოთლი, აშშ$, 2021



- საქართველოში ლუდის ფასი სუპერმარკეტში აზერბაიჯანსა და სომხეთთან შედარებით იაფია, ხოლო ყაზახეთთან შედარებით ძვირია.

წყარო: Statista, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ფასები დაანგარიშებულია პრემიუმ ბრენდის ლუდისთვის

ლუდის ფასი ბარში, 0.33 ლიტრიანი ბოთლი, აშშ$, 2021



- საქართველოში ლუდის ფასი ბარში რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ყველაზე იაფია.

წყარო: Statista, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ფასები დაანგარიშებულია პრემიუმ ბრენდის ლუდისთვის

ფასი და თვითღირებულება

ლუდის საშუალო ფასები იზრდება მასალების თვითღირებულების ზრდის გამო

ლუდის საშუალო საცალო ფასი საქართველოში, ლარი



- 2021-23 წლებში ლუდის ფასი მზარდია, რაც მოთხოვნის ზრდასთან ერთად თვითღირებულების ზრდას უკავშირდება.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ლუდის თვითღირებულების ძირითადი კომპონენტები

ლუდის წარმოებისთვის საჭირო მასალები	ფასი 2017 წელს	ფასი 2023 წელს	% ზრდა 2017-23 წლებში	წილი თვით-ღირებულებაში
ალაო	1.11 ლარი/კგ	2.09 ლარი/კგ	88.3%	დაახლ. 40% შუშის ბოთლებისთვის დაახლ. 60% PET კაფსულებისთვის
PET კაფუსლები	0.12 ლარი ცალი	0.17 ლარი ცალი	41.7%	20-30%
შუშის ბოთლი	1.13 ლარი/კგ	1.54 ლარი/კგ	37.1%	40-60%

- საქართველოში წარმოებული ლუდის თვითღირებულების საშუალოდ 85% იმპორტულ პროდუქტებზე მოდის. შესაბამისად, ამ მასალების გლობალური ფასების დინამიკა ქართული კომპანიების მომგებიანობაზე მნიშვნელოვნად აისახება.

წყარო: კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

ფასი და თვითღირებულება

ალაოს ფასი 2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და მცირედ ზრდას 2023 წელსაც განაგრძობს

ალაოს იმპორტი



ალაოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022



- ალაო საქართველოში არ იწარმოება და ლუდის ინდუსტრიის მიერ გამოყენებული ალაო სრულად იმპორტირებულია.
- ალაოს მსოფლიო ფასების ზრდა აიხსნება გლობალური ტენდენციებით, მიწოდების ჯაჭვების მოშლითა და ტრანსპორტირების ხარჯების გაზრდით.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ფასი და თვითღირებულება

შუშის ბოთლის საშუალო ფასები მზარდია 2022-23 წლებში

შუშის ბოთლების იმპორტი



შუშის ბოთლების იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022



- შუშის ბოთლებს საქართველოში აწარმოებს შპს „მინა", რომლის ძირითადი შემსყიდველი მინერალური სასმელების მწარმოებლები არიან, ხოლო ლუდის სექტორისთვის ძირითადი მიმწოდებლები იმპორტიორები არიან.
- მინის ბოთლების ღირებულების ზრდა გამოიწვია მსოფლიოში გაზის ფასის ზრდამ, რაც მსოფლიო ენერგეტიკულ კრიზისს უკავშირდება.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ფასი და თვითღირებულება

ლუდის სექტორმა 26 მლნ პლასტმასის ბოთლი მოიხმარა 2022 წელს
იმპორტირებული PET კაფსულების საშუალო ფასი 2023 წელს 36.0%-ით შემცირდა

PET კაფსულების რაოდენობა, მლნ



PET კაფსულების საშუალო ფასი, ლარი



- საქართველოში პლასტმასის ბოთლის დასამზადებელ PET კაფსულებზე ჯამური მოთხოვნა 2022 წელს 1.0 მლრდ ცალს შეადგენდა, საიდანაც 86.3% ადგილობრივი წარმოებაა, ხოლო დანარჩენი იმპორტი.
- PET კაფსულების ძირითადი მომხმარებლები არიან წყლის და გამაგრილებელი სასმელების კომპანიები, ხოლო ლუდის სექტორმა 2022 წელს **25.9 მლნ** პლასტმასის ბოთლი გამოიყენა.

წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

- PET კაფსულების იმპორტმა 2022 წელს **$17.6 მლნ** შეადგინა, აქედან 64.8% თურქეთიდან შემოვიდა.

წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

დანართები

დანართი 1 - გაყიდვების რაოდენობა საქართველოში

2022-23 წლებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ბოთლის/ქილის ლუდის გაყიდვები და მოსალოდნელია ზრდის შემდგომი გაგრძელება

გაყიდული ლუდის რაოდენობა ბოთლის ტიპის მიხედვით, მლნ ლიტრი



- ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილ შეფუთვებში (0.5ლ და ნაკლები მოცულობით) ჩამოსხმული ლუდს წილი ჯამურად გაყიდული ლუდის რაოდენობაში 2016-23 წლებში **15.6** პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი.

გაყიდული ლუდის რაოდენობა ზომების მიხედვით, 2023



წყარო: შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოთვლილია გაცემული აქციზური მარკების რაოდენობის მიხედვით

წყარო: შემოსავლების სამსახური, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: გამოთვლილია გაცემული აქციზური მარკების რაოდენობის მიხედვით

დანართი 2 - ლუდის აქციზი

საქართველოში აქციზი ლუდზე ტოპ მწარმოებელ ქვეყნებთან შედარებით მაღალია

აქციზის გადასახადი ერთ ლიტრ ლუდზე, აშშ$, 2023



- საქართველოში აქციზის განაკვეთი ლუდზე 2017 წლიდან უცვლელია და ერთ ლიტრ ლუდში სუფთა ალკოჰოლის ყოველ პროცენტულ ერთეულზე **0.12 ლარს** შეადგენს. 2017 წლამდე აქციზის გადასახადი ფიქსირებული იყო და ყოველ ლიტრ ლუდზე 0.6 ლარს შეადგენდა. ხოლო 2015 წლამდე 0.4 ლარს.

წყარო: Tax Foundation, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ერთ ლიტრ ლუდზე აქციზი გამოთვლილია 5% ალკოჰოლის შემცველობაზე

ბიუჯეტის შემოსავალი ლუდის აქციზიდან, მლნ ლარი



- ლუდის აქციზიდან შემოსავალმა 2022 წელს **66.8 მლნ ლარი** შეადგინა.

წყარო: ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

დანართი 3 - მოხმარების ტენდენციები მსოფლიოში

მსოფლიოში ლუდის მოხმარება ბოლო ათწლეულში სტაბილურია

ლუდის მოხმარება მსოფლიოში, მლრდ ლიტრი



- ლუდის მოხმარება გლობალურად შემცირდა მხოლოდ პანდემიის დროს და სრულად აღდგა 2022 წელს.
- გლობალური მოხმარება, ჩვენი მოლოდინით, სტაბილური დარჩება მომდევნო წლებში.

წყარო: Kirin holdings, Eurostat, საქსტატი, გალტ & თაგარტი

ლუდის მოხმარება ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი



- ლუდის გლობალური მოხმარების ნახევარი ტოპ 5 ქვეყანაზე მოდის.

წყარო: Kirin Holdings, გალტ & თაგარტი

დანართი 4 - წარმოების ტენდენციები მსოფლიოში

მსოფლიოში ლუდის მოხმარება ბოლო ათწლეულში სტაბილურია

ლუდის ტოპ მწარმოებელი ქვეყნები, ლიტრი, 2022



- ლუდის ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტოპ-მომხმარებელი ქვეყნები ტოპ მწარმოებლებიც არიან.

წყარო: BartHaas

მსოფლიოს ტოპ ლუდსახარშები, მლრდ ლიტრი, 2022



- ლუდის ტოპ 5 კომპანიაზე გლობალური ლუდის წარმოების **57.2%** მოდის.

წყარო: BartHaas

დანართი 5 - ლუდის მოხმარება აზერბაიჯანსა და სომხეთში

ლუდის მოხმარება აზერბაიჯანსა და სომხეთში საქართველოსთან შედარებით დაბალია

ლუდის მოხმარება აზერბაიჯანში, ლიტრი



ლუდის მოხმარება სომხეთში, ლიტრი



წყარო: Azstat, Armstat, Trademap, გალტ & თაგარტი

მნიშვნელოვანი შეტყობინება

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი evabochorishvili@gt.ge

სექტორული კვლევების უფროსი
კახა სამყურაშვილი ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი otsukhishvili@gt.ge

მისამართი: ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა : research@gt.ge

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.